

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის

ბრძანება №13
2022 წლის 7 თებერვალი

ქ. თბილისი

„საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2019 წლის 1 აპრილის №30 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 13 დეკემბრის №337 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ნ“ ქვეპუნქტების საფუძველზე, ვბრძანებ:

მუხლი 1

„საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2019 წლის 1 აპრილის №30 ბრძანებით (www.matsne.gov.ge, 01/04/2019, 040030000.22.034.016857) დამტკიცებული დებულების:

1. მე-6 მუხლის „ზ“ და „ღ“ ქვეპუნქტები ამოღებულ იქნეს.

2. მე-10 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ზ¹“ ქვეპუნქტი:

„ზ¹) დეპარტამენტის სამეურნეო, მატერიალურ-ტექნიკურ მხარდაჭერას საველე და ურბანულ პირობებში;“.

3. მე-13 და მე-19 მუხლები ამოღებულ იქნეს.

4. 22-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 2¹ პუნქტი:

„2¹. დეპარტამენტის ლოჯისტიკის სამმართველოს მატერიალურ-ტექნიკური მოწყობის განყოფილების უფროსი ახორციელებს ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ უფლებამოსილებებს.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს 2022 წლის 8 თებერვლიდან.

საქართველოს შინაგან საქმეთა
მინისტრი

ვახტანგ გომელაური

